ภาษาไทยที่ดี

[illegible]

[illegible]

1909

[illegible]

ფასი ფულზან ფვიდი კაპეიკი

დეკლოკვეტლ

იუმორისტული

და ლიტერატურული ალმანახი № 1.

ТИП. Т-ВА ЛЕВИТЪ И ЖЕСТКАВ ТИФЛИСЪ

ხელატურობი: ბატონებო! ერთად და მწყობრად დაუმიზნეთ და ესროლეთ.

მეოცრები: ალა ჯან წამალი შემოგვაკლდა.

ჩ ვ ე ნ ი ა ღ ს ა რ ე ბ ა.

ჩვეულებისაებრ კეთილქცეული, ეგვედა ახალმა დიდ-გამოშვებითი კომოცემამ თავისი მრწყინვა უნდა კიმოსთქვას და, ია კომპრთელის არ იყოს, რამდენი ტრაკიზმია ასეთ ალიუზიებში, ამას მხოლოდ ჩვენს ბედში მეოფი თუ მახვდება?—რამდენი ადმაფრენა, რამდენი დაბირება და ბრაქა-ბრუქი წაკვიკითხვის და რამდენჯერ, კანა შეიძლება ამის ადნესხვა ან კარსენება?... მერე? ბა, თუ ბიჭი ხარ და, იტეეი მეითხვეთო, ასარულა ვინმემ?—არა მეთანიაო, ამბობ შენ, და მე კი, ბეტეეი რომ—არა! ჩვენტ კვინდა, დიალ კვინდა, კვინდა და კვინდა, მაკრამ რა კვინდა? ამას კი უკაცრავად ეკ ვერ ბეტეეთ, ამ შემთხვევაში ჩვენ სიკვლებით ვეთანხმებით ქალწულის ხარს, რომელმაც ფოშტის მოხვედს მიკვა დაკრული წერილი მიაწოდა და სთხოვა: „შენი ჭირიმე, ბატონო, ეს წერილი უეჭველად ჩემს სიყვარულს კუგზავნეო, კონვერტზე მხოლოდ ოთხი სიტყვა ეწერა: „მისი ჭირიმესაკენ! მისი ჭირიმეს“... — ფოშტის მოხედემ თეთრა ქალწულს, ბატონო ჩემო, აქ ადრესი დაკვიწყებიათ და კოთხოვთ დაუწერეთო,—ამბ!.. უკაცრავად, და მაკრა კი ვერ ვიქ... ეს ჩემი სეკრეტიაო მიუგო ქალმა. ასეთიეეა ჩვენი ბასუხიც... ჩვენ ეეედაეერი კვინდა, ეეედაეერსაც კაბირებთ ესთქვათ, კაკეკოთთ, ამ ჩვენი დიპლომატია, ხომ იცით, დიპლომატია ისეთი სიკრავია, რომ ზოგს ძალიერ მოუხდება, მაკრამ ზოგსაც ძალიერაც შეაწუხებს, ვისაც შეუძლია მას ხმა შეუწყოს, ის, მისთვის სასაოვნო იქნება და წინააღმდეგ... ერთის სიტეეთო ჩვენ კვინდა, ჩვენი დიპლომატი კანუწეეეტლიკ კაჭეიოდეს ეეედასაოვის და ეოოეედკან, მაკრამ რას და რაკორ, უკაცრავთ, ეს კი, ჩვენი „სეკრეტი“ იქნება. ჩვენ ჩვენს სეკრეტს ძალიერ სასტიკად ვიეეერებთ... ანუ უკაცრავთ, შეეინახავთ, მაკრამ ეს კი რომ დინკეიხოტობა ვრავინ დაკეწაშოს, ოთრეეს ეეს წაკვეიდება, რაკორც ამას წინეთ ერთი ტაზეთის ეეთაურს წაკეიდა, არ იფიქრთ თუ ტეტეხლი ყოა. სორტსეიდი... ერთი, რომელიც ბარტიის კანდიდატს 2000 ხმა ამოუვიდა და მეორესა კი 4000 ამ უკანასკნელზე ამბობდა **მეთაური**, ყოა, ჩვენ კიარ დაკეკრეხვიეეკრთ, ეარამედ კვიმარკეეთო. ეს სწორეთ ამას ეკეკეს, ფაკდაკნმა რომ დინკეიხოტი წაკქცია და მეუხდა კეკდზე დაკჭირა, დინკეიხოტმა კი, ხეკდები და ფეეეეკ ადმა ააბშხდიკ და ეეიერთ, თქვენა კკონიათ მე დაკეიძლიე?—ეარ! ჩემისთანა ერთნი ქვეეანაზე არ მოიბოვეებთ. და აი ჩვენტ ამისათვის, რომ შემდეკ ეაკკეი ხაქმე არ წაკეეეკიდოს ჩვენს ადარებას მხოლოდ ქალდდებს და ისიც ბწკარებთა შორის კკალეეეემთ და რაც კი შესაძლებელი იქნება სიტიდ ხარხარით კამოეთქვამი ხოდმე ჩვენს ტირად ზანზიდს, იქაც ვიტინეებთ ხაცა ხაციხელთა და იქაც ხადაც ხატირელია, დიდებული ბოეტის ეკკის სიტიდით. მაკ მეითხვეთო შოდი ერთი მხანმეთო კადეიხარხარეთ, რომ მტერმა მოგეერიდოს ეგებ, თორემ ხომ წაიკითხე ბატონის, ეხ! უკაცრავად, ჩვენმა ბატონს რა უნდა—ემის ეკკოეთალინის და მისი ოანამოაზრის ბასი დროებაში, ჩკკთ მაკკთ! მხოლოდ ქართველები კეეეხიერებიან თვალში, თორა ხეკეები, უნდათ თუ არ ნდათ ჩვენსკკენ იქნებიანო, დაკანსახდოთ ჩრდილოეთის მკვიდრნი კკეკკასიაში, რომ ამით კეკკასიის მკვიდრნი კკდაკანსახდოთ ჩრდილოეთში და ჩვენ კი, მონკოდიიდან ჩამოსახლებულები დაკრჩებიო ქართველების ოჯახ-ბუკახშიო, ამისათვის ჩვენ დიდიხანია სოდიდარობის კეეიტხვდებს ოვით ქართველთა უმრავლესობაო... აქ კი სიხარულისკკენ სუდი შეეეეუბდა სიკოთელიანის ოანამოაზრე „ეიდეკ მოხელეს“ და კანიკეძო: ეეედზე ეანკდები, მეკერმეტეეკდა სატესოკმა, რატომ ნათდად არა სთქვა ის რაც ჩეშმარიტებაც არის და დიდი სასარეებლოც ჩვენთვის... დიალ მეითხვეთო, ასეთი მეზობლები კეეეთდა ჩვენ და თუ ეს მეზობელი, როკორც იკითვ „ბაზეთი“ კადმოკეეტეს დაშნაკციუთიუნის მეთაურიც ყოა, მაშინ კი, ჩვენს დიპლომატზე მეეობრად უნდა ეკეეთოთ ჩვენი სირინოზის ხმა „ეიკეშნიო ეეშმაკისაკენო!.. მაინც მეტი რა-ლა დაკეერჩენია თუ არა სიმდერა, რაკა... ეჭ! კმარა!—ისევ ვიტინოთ და ვიტინოთ, მაკრამ ისე კი, რომ სხვები შაინც ადარ კეკატინოთ!.. სო და ჩემო მეითხვეთო, შენ კიდევ ვერ კაიგე ეგებ ჩვენი მრწყინვა, მაკრამ ეს არც გასაკვირალია, რადგან ჩვენ ქართველად ეეწერთ და შენ კი დამხალეიეთ. მოკეჩვენება ეს ჩვენი ნაწერი, უკაცრაოდ, მაკრამ ეს არც ჩვენი ბრალია, ეს კასლაკეს ჩვენი მეოდების მიზეზი და აი როკორ?—სასლში ჩვენ დედის ძეძესთან ერთად ეეედასპარაკებოდენ დედა, დედას ჭქვია და მამა-მამასა და იქ-კი, შეოდასში კამოეიდა რომ მამა დედას ჭქვიებია და დედა ბაბუს, კარდა ამისა კიდევ დედას ჭქვიებია კიდევ რადაც „მათ,“ ამნაირად ისე აირია ჩვენს ტვინში „მათ“ და „ჩვენი“ რომ... ეჭ! კმარა, კიდევ კადასეეტდით ჩვენს მრწყინვს, ჩვენ კვინდა... სუს!! რაც კვინდა ის ჩვენ უიტეთ, მხოლოდ კვინდა კი და ბა თქვენ თუ მიხვდეთ რა!... ვერ მოკარეთვეთ, თქვენ კკონიათ **იარაღის დაყრა?**.. ბა! მეტ ასე მეკონა, მაკრამ ნამდვილად კი... მშვიდობიანობა?.. მაკას ვერ მოესწრები, რადგან მშვიდობიანობის და ოთვისუფლების მომფაკეს ხომ... კარგი და, ამბობ შენ, მაშ ბა რისთვის მოიწყვეეს სეკრეტაშორისო სამშვიდობო კონკრესი კაკაკშიო? ამის ბასუხად მე მოვეეკენ ერთის ოსმანლის ნათქვამს: — რა ანრის ხართ თქვენ სეკრეტაშორისო სამშვიდობო კონკრესზე, მთელი ეკრობა იარაღის დაყრას ეცხადებსო,—ჭკითხეს ოსმანლს,

— მე,—მიუგო ოსმანლმა,—იმ ანრისა ვარ რომ ეკედა ეკრობელმა ეეეზვედად უნდა დაჭკარაო იარადი, მაკრამ ჩვენ კი, ოსმალებმა უნდა ვიიდოთ, რადგან დღეს ეკედა ჩვენი ტერიტორია.

ასეთია ჩვენი ბედი
დღეს და გუშინ — ასი წელი
ედიბერალობთ, ვმეტეხრობთ,
სიმშიდეთ კი კვეწვის წელი.
შინაური შარს შარს კარბი
შორეული მორბის ჩვენსკენ
რაც წინანდარი დაკვეტეკეს
ზოგან ქანქვენ ზოგან კენეკენ.

ᲪᲝᲚ-ᲫᲛᲐᲠᲘ.

I.

როცა ჩემი „დულცინეა“
გვერდით მიზის, ჩემთან არის,
მტკიცეთა მწამს, რომ ის ამ დროს
ჩემი ნახევარიც არის
მეფერება მეხუტება, და მიჩივა სიყვარულსა“
ალარაფერს ალარ მალავს, თავისას, სხვის დაფარულსა,
მაგრამ ზოგჯერ მოიბუტების
ალამაღლებს ხმას და მეტყვის,
ხომ კი იცი ვისთან ზიხარ,
ვისა ყვარობ და ვინ გეტრფის?
ესდეჩკა ვარ „პროსტო, სებე“...
„მენშევიჩკათ“ მონათლული
მაგრამ შენა?.. ნეტავ რა ხარ!..
ვისკენ უფრო გიძგერს გული?..
„ესფერობას“ ხომ არ ფიქრობ
არ დამლუპო, დამაქცეო
ჩემს რწმენას არ ულალატო
ქვეყანა არ დააქცეო.
ხომ კი იცი „ერთობაა‘
ქვეყნის სჯული ქვეყნის ბედი
„სოლიდარულ მასაშიდა“
განამბრძმედი, განაპედი...
ჩინელებთა სიმშილობა
მაროკელთა გასაჭირი
ჩვენი სავალალოც არის—
ქვეყნის საფრთხე ქვეყნის ჭირი.

II.

ნახევარმა, მისმა ხვედრმა
შუბლზე წავიტაცე ხელი,
უთხარ „გვერდო“ რას მიჩივი
გადვირიე ისეც„ხელი“
რას მიქვია ჩინ-მაროკო
როცა მომძეს სული ხდება
ჩვენი მიწა, ჩვენი წყალი
ვიგინდრების წილი ხდება.

III.

რა პარტია?.. რა იდეა?..
რა ესდეკი, რა ესფერი?..
რეაკციამ გაიმარჯვა
გაისრისა ყველაფერი,

VI.

ეს ძვირფასმა ნახევარმა
ჩემმა, გლახად შეიმცხადა
წამოხტა და მედიდურად
ბოიკოტი გამიცხადა.

V.

საღამომდის გაბუტული
ხმას არ მცემდა იყო ჩუმათ,
მაგრამ როცა შემობნელდა
და სიცივემ დაჰკრა უმათ,
ჩემს გვერდს, ალბად შეეშინდა,
არ გავცივდე გარეთაო
გადაჰყვირა პროლეტარებს,
აბა მომეხმარეთაო.
მხოლოდ როცა დაინახა
ყველა თავის საქმეს ელტვის
მის მოძახილ, მის ყვირილზე
არსად ყური არ იბერტყვის
შემოცოცდა ისევ შიგნით
ნაგვერდალზე მისაწებად
ისევ თავის ბინა იცნო
თვის იდეად თვის ემბლემად.

სხარტულა.

ცხოვრება წააგავს აღმზრდელს, რომელიც თანა სდევს საყვარელ მოწაფეს, რათა საროსკიპოში ცხვირ-პირი არ ჩაალეწონ, სამიკიტნოში არ დაათრონ, არ მიბეჟონ, ბანქოს მოთამაშეებმა, რომ ჯიბე არ დაუცარიელონ. მაგრამ ბოლოს თვითონ უხდება ბანქოს თამაშში მეტოქე, სამიკიტნოში ტოლუმბაში და საროსკიპოში ძმა ბიჭი.

—

მონობაში დაბადებული და აღზრდილი დედაკაცი ყოველ დღე იმას ევედრება ღმერთს: დიდხანს აცოცხლე ჩემი ცეცხლ-ნავთი ბატონიო. ეშინოდა: რომ მოკვდეს, ვაი თუ უარესის ხელში ჩავცვივდეთო. ბრძენი იყო ეს დედაკაცი, რადგან ამ თავის პურიშკევიჩობას ძალუმად ასაბუთებდა: მოხუც მწყემსს ცხვარიც-კი მორჩილად ეპარსვინება, რადგან ჯეელ მწყემსის ხელში ჩავარდნა ეშინიან: იგი მატყლთან ტყავსაც კი აატანსო.

—

ზედა საფეხურნი კიბისანი ამპარტავნობით სილაღით გაზვიადებულნი უყვიროდნენ ქვედა საფეხურებს: ნუკი გაბედავთ თქმას, რომ თქვენც ჩვენი ტოლნი და ბადალნი ხართ! თქვე ლაფიანებო! ქვეყნის ფეხქვეშ ნათლახვნოვო!

ფილოსოფოსმა გაიგონა ეს თავგამოდება, ააბრუნა კიბე: ზედა საფეხურნი ძირს მოაქცია და ძირისანი ზევით... ვისაც აქვთ ყურნი სმენად ისმინონ!...

ყველა ვირებს ერთადა ჰგავს.

ის, ვინც წარსულს იწუნებს აწმყოსი არა გაეგებარა, ხოლო დიდის ფასით ლაპარაკობს ერთზედაც და მეორეზედაც.

ის, ვინც მამა-პაპურ ქოხს ანგრევს, თან გაიძახის: სრა სასახლეები შეჰფერის აწინდელს ჟამსა ადამიანსო და საქათმის აგების ილაჯი არა აქვს.

ის, ვინც გუშინ ლაქია იყო და დღეს კი ქვევნის მოღვაწეთა სთვლის თავს.

ის, ვინც ერთის ეშხით შედის სამიკიტნოშიაც და ეკლესიაშიაც...

ის, ვინც თავის სტომაქს, ჯიბეს და ქეიფს ემსახურება, ფრაზები კი მოღვაწისა შეურჩევნია. ეროვნებისა, მართლ ენისა, სარწმუნოებისა ინჩი არ გაეგება და ლაფვით და წუნიაობით ვერ გამძღარა.

ფიქრის მასალა.

კურდღელი დაუმეგობრდა ცხენს, ხარს, ცხვარს და ვირს. მეტადაც უყვარდათ ერმანეთი. ერთხელ მწევრებმა გამოიგდეს კურდღელი და გაუყენეს იმ მინდორს, სადაც მისი მეგობარნი სძოვდნენ. გაჭირებაში მარტო კურდღელი კი არა, კაციც კი მეგობრების დახმარებას ითხოვს ხოლმე. კურდღელმაც ჰოინდომა მეგობრების დახმარება, მაგრამ გაიხსენა მათი ზნე-ჩვეულებანი: სულით და გულით გიშველიდი, მაგრამ არა მცალიანო ეტყოდა ცხენი.

ეხლავე გიშველიდი, მაგრამ ჯერ ვიცოხნებიო, უპასუხებდა ხარი.

ჰოხ საყვარელო კურდღელო! როგორ არ მოგეშველებოდი, მაგრამ მეც ჩემი ქერქისა მეფიქრებაო, გამოჰხღავებდა ცხვარი.

ვიშველი! გიშველი! შეიყოყინებდა ვირი, შენ ლომის ქურქი მიშოვნე და ნახე, როგორ დაგიფრთხო მწევრებიო...

მოისაზრა ყველა ეს კურდღელმა, საშინლად მოკურცხლა და უშველა თავს.

ჩვენებურ ტუტუცებს კი კურდღლის ცდა მოფიქრება დაუკარგიათ და შველის იმედი ვისზე არა აქვთ.

ბერი მინდია.

ლ ი ლ ი ტ ი.

ლილიტი არის ღმერთი სიყვარულისა და სიკვდილისა ერთად. ძველთა ქალდეველთა რწმენით იგი იყო ადამის პირველი ცოლი, რომელმანაც აცდინა ადამი. კაბალურ და საშვალო საუკუნოების რწმენით კიდენ, ლილიტი მდედრობითი სქესის ეშმაკია... იმიტომაც მას ჰხატავენ მშვენიერი ქალის სახით, ხოლო შუბლზე მშვლის რქებით.

მშვენიერია ლილიტი, როგორც ტურფა ყვავილი ველისა! სამოსელი მისი საოცარია: თითქოს მარაოს ისე ხმარობს ძვირფას ფარშევანგის გაშლილ ბოლოს! და როცა ოქროს სარტყელს მოიშვებს, სწვამს და სდაგამს ყველას ოდნავ მოჩან სიტურფით! ნუ უფრთხი ამ ტკბილს სანახაობას... მაგრამ მიახლოვებას და შეხებას მ ს გიშერ თმისას უფრთხილდი... ამ დროს ისეთ სიზმრებში წახვალ და ოცნებაში შესტოპავ, რომელნიც აქრობენ სიცოცხლესაც და სიკვდილსაც... ჯოჯოხეთსაც და სამოთხესაც... სიბნელის ჯურღმულსაც და აღზნებულ სინათლესაც!.. ვერც ენებანი მაჰმადის სამოთხისანი, ვერცარა უარესნი დაჰშრეტენ ამ დროს გრძობათა ლილიტის უბედურ მოყვის...

დ ე პ ე შ ე ბ ი.

„სკინჩას“ სააგენტოსაგან.

ოზურგეთი. ბებურა უკან დახევას არ აპირებს.

ფოთი. ნიკოლაძის გაზეთის რედაქტორათ ნიკიტენკო იქნა მიწვეული.

თელავი. თელავის სომხის სულის მამებს განუძრახავთ აღძრან შუამდგომლობა ხელ ახლა დაარსონ „სამარხი კასა“. სამაგიეროთ სამღვდელოება დრამაზე უარს ამბობს.

ყვირილა. სილიონ, იოსებ და ალმასხან ალაბეგებს განუძრახავთ აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე— რომ კვლავ შემოღებულ იქნას „სამხედრო წესი“. მათი აღშფოთებული სულის დასამშვიდებლათ.

სამტრედია. ეს ორი კვირა იქნება რაც ყარამანს გაზეთები აღარ მოუპარავს.

გორი. მოხდა საზოგადო კრება გორელების მოწინავე საზოგადოებისა—ერთხმათ იქნა მიღებული საკითხი ახალი კლუბის დაარსებისა პირველი ალაგი ლოტოს თამაშს დაეთმობა—გორელ კეკელების სიხარულს საზღვარი აღარ აქვთ.

„...ესეც შენი ერთობაო...“

ნამდვილი ამბავი

(ახალის ცხოვრებიდან).

I.

...ნუ ტუტუცობთ, ნუ ხუნტრუცობთ,
ნუ აჰყვებით ჰორებსაო...
...ქრისტემ ბრძანა „ოქროებსა—
ნუ დაუყრით ღორებსაო“.

ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე ყმაწვილები ის—რე და ეს—რე განთქმული ვაჟკაცები იყვნენ. სოფელმა მოიძულა იგინი, გარემოებამ თავბრუ დაუსხა, გადარია, გააველურაო, ამბობდენ მისიანები.

II.

და მართლაც ისინი გადასცდენ გზას, წაიკრეს ფეხი ბნელაში, ერთობის მორევიდან ამონატყორცნ ქვას და ისეთ ნაირად დაეცნენ ტალახში, რომ ველარავითარმა წყალმა იგინი ველარ გარეცხეს, ველარ გაასუფთავეს.

III.

ის—რე და ეს—რე მეტი ბარგი შეიქნენ თავის ქვეყნისა და ხალხისათვის და რაც ადრე მოცილდებოდენ იგინი ამ ქვეყანას უკეთესი იყო, რადგან იმათი მიზეზით სოფელი ინყლიტებოდა და ნადგურდებოდა ეკზეკუციისაგან, მაგრამ „ერთობა“ აბა რის ერთობა იქნებოდა, თუ კი იგინს სოფელი გასცემდა, ეს ხომ ღალატი იქნებოდა „ნამუსის“ გატეხა?

IV.

ამ ნაირად, ის—რე და ეს—რე განაგრძნობდენ თავიანთ საშინელს ცხოვრებას თავიანთსავე სოფლის გარშემო და სოფელი-კი იტანჯებოდა.

V.

ის—რე და ეს—რე ნამდვილი შვილები იყვნენ ჩამომაველობისა. მათ უყვარდათ თავის სოფელი, თავის სამშობლო და ამიტომაც ვერავითარმა საშვალებამ ვერ მოაშორა იგინი მათს კარ-მიდამოს, „აქ გავჩნდით, აქ დავიბადეთ და აქ უნდა მოვკვდეთო“. ასე ამბობდენ იგინი და ასეც მოხდა.

VI.

ის—რეს და ეს—რეს, ერთ მივარდნილ ადგილას ეწვიენ ორი აფხანაკნი, მათსავით ყველასაგან მოძულებულნი და დანჯმაულნი. თუმცა ეს უკანასკნელნი სრულიად უცხო ტომისანი იყვნენ, მაგრამ რა შვაში იყო აქ უცხოვობა, ეს ხომ მათი რწმენის შეურაცხყოფა იქნებოდა, ისინი ეგეთივე ადამიანები არ იყვნენ?.. დიალაც და ამათაც ისინი გაიამხანაგეს, შეიტკბეს, შეისისხორცეს.

— ძმებო,—ეუბნებოდენ ხოლმე ხშირად ის—ძეს და ეს—ძეს, როცა ისინი თავის ქვეყანაში ვინმეს ესტუმრებოდენ,—აი ჩაი, აი საუზმე! ჰამეთ საბრალო ძმებო, აი აგერ დაჯექითო... მაგრამ ისინი არაოდეს ერთ ლუკმასაც ხელში ისე არ აიღებდენ, რომ ნახევარი მაინც თავის ამხანაგების „ბორია“ და „ფედია“სთვის არ გაენაწილებიათ. ბევრჯელ უთქვამთ ის—ძე და ეს—ძესთვის, ხომ არ სცდებით თქვენ, მაგ უცხო ტომის შვილებმა არაფერი აგიტეხონო, მაგრამ ის—ძეს და ეს—ძეს, იმდენად მტკიცეთ სწამდათ სიტყვა „ყველა ერთნი ვართ“ რომ ხშირათ იტყოდენ „ჩვენ იგინს ჩვენს თავზედ უფრო ვენდობითო, იგინიო, იტყოდენ ხოლმე ის—რე და ეს—რე ნამდვილი ვაჟკაცები, ნამდვილი აფხანაკებია, ჩვენი კი არა მარტო, არამედ მთელი ქვეყნის, მთელი კაცობრიობისაო.

VII.

ბორია და ფედკამ კას ხანს ატარეს თავიანთ აფხანაკების კარ-მიდამოზე. ჩვენი სოფლის ხალხის პურმარილი მათთვის დაუზოგველი იყო, რაც შეეძლო სოფელს ჩუმათ თუ ცხადად, პატივს სცემდენ მათ. როგორც უცხო სტუმრებს და. რაც იგინი ის—რეს და ეს—რეს შემოეფარნენ მას შემდეგ სოფელს უფრო გაუძნელდათ საქმე. ახლა ის—რე და ეს—რეს გაცემაც რომ ეფიქრებიათ, როგორც სოფლისათვის მავნე პირებისა, ველარ ახერხებდენ, რადგან მათთან ერთად ეს მათი ამხანაგებიც უნდა გაეცათ და ეს კი, ყოველ შემთხვევაში ქართველი კაცის ზნე ჩვეულებას და რაინდულ ხასიათს ეწინააღმდეგებოდა. ნათქვამია, ქართველ კაცს რომ სტუმარი ესტუმროს და იგი შემდეგ მისი მტერიც აღმოჩნდეს, მაინც სტუმარს ხელს ვერ ახლებსო, ასეთი ვართ და რას იქთ?..

VIII.

აფხანიკებმა, როცა მათ სასტიკი დევნა დაუწყეს, მორიგეობა შემოიღეს. ორი მათგანი რომ დაიძინებდნენ, ორი კი მორიგეობდნენ ხოლმე და ასე ატარებდნენ თავიანთ წამებულ დღეებს. ფედკა

და ბორია, ბორია და ფედკა აი რა ეკერათ ენაზე ის—რეს და ეს—რეს, ისინია ჩვენი ძმები, ჩვენი ნამდვილი ამხანაგები, ნამდვილი მეგობრებიო... თვალები კი დაუდგა იმ არამზადა ნაციონალისტებს, რომ ამბობენ ჯერ თავისიანი, მერე სხვისიანიო, განა ბორია და ფედკას აჯობებს თუ გინდ, ჩვენი მკვდარი ძმები ჩვენთვისაო!

IX.

ხშირათ ფედკა და ბორია, როცა ესენი უკან იყვენ, ყასიტათ თოფებს დაუმიზნებდნენ წინ მიმავალ ის—რეს და ეს—რეს, მაგრამ თვალის დახამხამებაზე, ის—რეს და ეს—რეს თოფები შემოტრიალდებოდენ ხოლმე, და ისინიც ყასიტათ ეტყოდენ — ვერ მოგვართვითო და აფხანაკები ასეთი ვარჯიშობით ოხუნჯობდენ, ლაზღანდარაობდენ, აბა ვინ უფრო სწრაფია ჩვენშიო.

X.

ის—რე და ეს—რე, ორივე ძლიერ მარდნი იყვნენ, მათი თუ გინდ ამხანაგებისაგნითაც მოკვლა, თოფით გინა ხანჯლით ძნელი იყო, შეძახებაზე ტყვიას არ აცდენდენ, ვერც ხანჯალსა და ლიეერ. ვერს მოასწრობდა მათ ადვილად ვინმე.

ასეთი იყვენ იგინი და კიდევ დიდხანს ასეთნივე იქნებოდენ, მაგრამ სიცოცხლე და თავისუფლება ტკბილიაო, ამბობენ და...

XI.

ერთ მშვენიერს საღამოს დიდად მოღალულნი მთელი დღე და ღამის, სასტიკის დეკნისაგან, როგორც იქნა მშვიდობით მივიდენ თავიანთ გულითად, საუკეთესო მეგობარ ამხანაგებთან ტყეში და თან მიიტანეს გემრიელი საჭმელები და ტკბილი ღვინო. ის—რეს და ეს—რეს, ფედკა, ბორია ძლიერ მხიარულად შეხვდენ, ცოტა არ იყოს საყვედურიც უთხრეს, რატომ ჩვენც არ გაგვიზიარეთ თქვენი გასაჭირი, რომ ასე მარტოთ კინელამ მოგვკლესო, გადაკოცნეს ერთმანერთი და შემდეგ შეუდგენ ვახშამს, კარგად დანაყრდნენ და კარგათაც გადაჰკრეს...

„ბრატცი“,—ეუბნება ფედკა ის—რეს, ძლიერ მომენატრა „ბორში“ და „კაშა“—ეჰ! ნეტავ როდის მოვესწრებით თავისუფლებას, რომ...—ეჰ! „ტოვარიჩ“! მიუგო ის—რემ,—ღმერთმა ჰკითხოს ჩვენს მტრებს, ჩვენი ასე წვალება, „ბორში?...“ მეც ძალიან მიყვარს, მარა რა ვიცი... ჯერ ამაზე ფიქრიც მეტია...

XII.

ბორის!.. ა, ბორის!.. ნელის ხმით აღვიძებს ფედკა თავის ამხანაგს,—გძინავ ს?—კი, წამეძინა ცოტა,—მიუგო ბორიამ...—ასეთ დროს, ჩვენ კიდევ ვეღარ მოვესწრობით... ხომ იცი, თუ ეს ვქენით, ჩვენ მაშინ მთავრობა... აკი გეუბნები კაი ხანია, ჩვენ მხოლოდ ასეთს შემთხვევაში თუ გავთავისუფლდებით თვარა... მოშწყინდა ეს ხმელი საჭმელები, მოშწყინდა.—მე დიდი ხანია ვიცი ეს, მაგრამ, რომ დავაცილოთ, ხომ იცი, რა მარდნი არიან, წამში მოგვკვლენ...

— სულ ერთი არ არის?. ჩვენ ხომ ასე ვერ ვიცხოვრებთ, გავბედოთ და ვსინჯოთ, ეგებ გავიმარჯოთ, თუ არა და მაშინ უფრო დიდი სარსელი მოელის მაგათ, ჩვენ რომ მოგვკლან, რადგან ასეთს, შემთხვევაში, ეგენი სოლიდარობის მოღალატენი შეიქნებიან და თვით თავისიანები მოკვლენ ღალატისთვის ხომ იცი ამათი ადათი?..

— მერე, როგორ მკვდრებივით სძინავთ ამ საზიზღრებთ,—თქვა ფედკამ და თოფი მოიმარჯვა...

— ფრთხილად,—უთხრა ბორიამ, კარგად გავსინჯოთ პატრონები.

XIII.

— რა ჰქენით!.. ეს არის ძმობა ერთ... ერთი კი წამოიძახა საბრალო ის—რემ და სისხლში შეცურდა, ეს—რე კი, მხოლოდ იკლაკნებოდა სულთ მობძავი...—ვალი, ეშჩო!—ახლა კი წყვილად დაახალეს თითეულს თოფები და გაუდგენ გზას.

XIV.

— ფედკა და ბორია გაოეცხადნენ უეზდის ნაჩალნიკს და აცნობეს, რომ ისინი, რომელნიც თქვენ სიკვდილს გიპირობდენ, ჩვენ უკვე მოვკალით, აი მათი და ჩვენი იარაღიც... და იმედია ჩვენი ცოდვების ბადლად ამას მიგვითვლით და გაგვანთავისუფლებთო.

XV.

სოფელში კი უცებ გავრცელდა ეს ხმა, მაგრამ მანამ არავის არ დაუჯერია, სანამ თვით მკვდრები არ ნახეს, ვერვის წარმოედგინა, ძმური ცხოვრების შემდეგ თუ ასეთს საზიზღროებას ადგილი იქნებოდა. ყველა აღაშფოთა ასეთმა მათმა საქციელმა, უმეტესობას აღარ იცოდენ რა ეთქვათ, მხოლოდ ზოგნი კი, გაიძახოდენ, „ესეც შენი ერთობაო“.

ამბობენ, მკვლელები **პასუხის გებაში** მისცესო.

რიასელი.

ვინ რას ფიქრობს ღაძე როცა ძილი გაუკრთება.

პართენ გოთუა. თუ ორ თვეს გაუძელი ჩემ გაზეთს „ზაკავკაზიეს“ სული ამოხდება და ბურთი და მოედანი მე დამრჩება.

გიორგი ამირეჯიბი. თუ ღმერმა ქნა და სამი თვე გავძელი პართენის გაზეთი გაკრება ვითარცა გაზაფხულის თოვლი, а потомъ посмотримъ...

ილიკო აღლაძე. როგორცა სჩანს საქმე კარგად მიდის, „ზაკავკაზიე“ და „ნოვი რეჩი“ ორივე სულს განუტევებს ერთმანეთთან ბრძოლაში, დავრჩები მარტო მე ჩემი „დროებით“, აბა მაშინ ნახე გაზეთის საქმე როგორ წავა...

ცენზორი. ამ ბოლო ხანებში ქართველების გაზეთებს რაღაცა საეჭვო მიმართულება ეტყობა, პართენი „ვაზრაჟდენიის“ ხანას უბრუნდება ამირაჯიბი მარცხნით იწევს, აღლაძე თავისას არ იშლის, სამივე გაზეთი ერთ დღეს უნდა დავკეტო.... თორემ...

კოწია თუმანიშვილი. ანტონ ფურცელაძე კარგი ბანკირია, მაგრამ ფინანსიურ საქმეში ჩემთან ნიკაკიხ.,. ჩვენში კი დარჩეს და პრედსედატლობა რომ შემომთავაზონ... დავთანხმდე ვითომ?

გრ. დიასამიძე. სულ მარტოდ-მარტო დავრჩი, ბრძოლის მოედანზე აღარავინ სჩანს ჩემს მეტი...

დავით ღამბაშიძე. ეს ოცდა მეათეა... ვნახოთ ვის დარჩება ბურთი და მოედანი...

სლივკა. ამ ყურუმსაღებმა რა სისულელე ჩამადენინეს—როგორ გამოვძვრე ამ სკანდალიდან აღარ ვიცი... ოტსტავკა... მიშველის ვითომ?

ვ. აბაშიძე. „პაჩინკა“ მჭირდება და ყურადღებას არავინ მაქცევს.

ვ. ბუნია. მხოლოდ ახლა მიხვდნენ თბილისელები, დასისათვის რაც საჭირო კაცი ვარ...

ქაიხოსრო ქავთარაძე. ახლა გამოვლენ ვიღაც ვიღაცები და დაიწყებენ ჩემთან ქაჩვას... ყმაწვილო! უზარ-მაზარ საქმეებს ისე ვათამაშებ ხელში, როგორც ბურთი... კლუბის საქმე ხომ გავაკეთე და გავაკეთე... ახლა სხვები ნახე!!!

პ. გელეიშვილი ხუთი ათასი მ., 3000, 2000, 1000,500, 300, 200, 100, 10, 5 და გამეილია... რა დავარქვა ახლა ამას ბატონ ანტონ? რეონგრანციაზ?.. მაშ ასე ჩაწერე: რეორგანიზაციის გამო გაზეთი აღარ გამოვა...

ალ. ხატისოვი. ღმერთო ძლიერო! ყოვლისა შემძლე და დიდებულო, ისმინე აჯა ჩემი და შეიბრალე უღირსი მონა ჩერქეზიშვილი.

უფალო ჩემო! ხომ იცი შენა ამა ცოდვილსა რამდენი ტანჯვა-წვალება გამოუვლია... აკმარე ღმერთო ესდენ ტანჯვანი და მიიბარე სული მისი თქვენს სამეფოში...

სამაგიეროთ უფალო ჩემო! აღთქმასა დავდებ თქვენსა წინაშე, აღთქმას მტკიცეს და შეურყეველს... როს განისვენებს სული მშვიდათ ჩერქეზიშვილის, მე ავალ ტახტსა ქალაქისასა და ვიკისრებ ტანჯვებსა მისსას საუკუნოდა...

დიდო უფალო! შეისმინე ვედრება ჩემი და გადმოხედე მოწყალე თვალით თბილის ქალაქს.

ნ. გაბუნია-ცაგარელი. (30 წლის იუბილეის გამო). 29 ნოემბერს ქართველმა ერმა და მასთან ერთად მთელმა მხარემ იდღესასწაულა ჩვენი სასიქადულო მსახიობის იუბილე—მსახიობის, რომელმაც 30 წელი ღირსეულად ემსახურა სამშობლო სცენას, სამშობლო ერს. დიახ! 30 წელიწადი გაბუნია-ცაგარლისას ედგა თავზე ეკლის გვირგვინი, 30 წელ. გული და სული მისნი სტიროდენ, 30 წელ. გვასწავლიდა ის ჩვენ თუ როგორ უნდა კეთილ საქმეს სამსახური, თუ როგორ უნდა გაიწიროს საზოგადო საქმისათვის ადამიანმა თავი, — და მადლიერმა სამშობლომ კეთილად მოიხსენია მისი ღვაწლი გულწრფელი საიუბილეო უქმით, სიხარულის ცრემლები აღვრევინა მას. ვუსურვებთ ჩვენ საყვარელ მსახიობს, რომ მას მარად განეგრძოს თავისი სასიქადულო მოღვაწეობა ქართულ ენაზე მშობელ ხალხისათვის,—და ეს ასეც იქნება, რადგან მან დაგვპირდა: „ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვემსახურები, როგორც შემეძლება, საყვარელ ქართულ სცენის“-ო.

ეკა გურიელისა.

ისტორიული დრამა 2 მოქმედებად.

(ამ დრამის მასალა და შინაარსი აღებულია ოფიციალურის ოქმებიდან).

მოქმედნი პირნი:

1. **ოსმალოთა სულთანი მაჰმუდი**, 35 წლისა, წამოსახედავი კაცი, შავ-თვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშა, მადიანი სახისა. აცვია ოსმალური მეფური ტანსაცმელი. ხასიათი დინჯი.

2. **ეკატერინე (ეკა)**, გურიის მთავრის მამია გურიელის ასული, 16 წლისა; ენით მამოუთქმელი და კალმით აღუწერელი სილამაზის პატრონი, ტან-მაღალი, ტან-წვრილი, მიხვრა-მოხვრა მოხდენილ-მედიდური და დინჯი; შავ-თვალ-სწორ წარბა, პირის სახე თეთრ ვარდის ფერი. აცვია გურულად.

3. **ბატონიშვილი დავით გურიელი**, ეკას ძმა, 14 წლისა; კოხტა, ლამაზი ტან-წვრილი ყმაწკილი კაცი; წვერ-ულვაში ოდნავ ჩემნევა, აცვია გურულად.

4. **თავადი დავით მაჭუტაძე**, 60 წლისა; ამათი ლალა და განუშორებელი მხლებელი და პატრონი; ჭკვიანი, მცბიერი და დარბაისელი კაცი; თმა-წვერ-ულვაში ძალზედ ჭაღარა შერეული; აცვია გურულად.

5. **იასე დოლიძე**, 40 წლისა; ამათი ქვეშე აზნაური, განუშორებელი მხლებელი და პატრონი; ჭკვიანი, სინდისიანი და დარბაისელი კაცი; თმა-წვერ-ულვაში ჭაღარა ოდნავ შერეული; აცვია გურულად.

6. **მაკა**, ეკას მოახლე, ძალიან ლამაზი გოგო 16 წლისა; თამამი და ცქვიტი ადამიანი.

7. **მუნჯი გოგო**, ეკას მოახლე, ნაყვავილარი 16 წლისა.

8. **სალმათი**, ოსმალოს მანდილოსანი, 40 წლისა; წამოსახედავი ქალი, დარბაისელი; აცვია ოსმალურად.

9. **იბრაჰიმ-ეფენდი**. სტამბოლის სარდლის ხოსროფაშის რწმუნებული, 40 წლისა, ალალ-მართალი კაცი. აცვია ოსმალურად.

მოქმედება სწარმოუებს ქალაქ სტამბოლში, 1831 წ.

პირველი მოქმედება.

(სცენა წარმოადგენს სტამბოლის მდიდარ ოსმალოს სასტუმრო ოთახს).

1 სანახავი.

მაჭუტაძე და დოლიძე.

(**მაჭუტაძე ტახტზედ წამოწოლილია, ღრმა ფიქრშია, ბაბუსა სწევს; ფარდა რომ აიხდება, პატარა ხნის შემდეგ შემოდის დოლიძე, ჯერ ხმა ამოუღებლივ სალამს მისცემს მაჭუტაძეს ძველებურს ჩვეულებით და მერე დაიწყებს ლაპარაკს).**

დოლიძე. ბატონო დავით! . აგერ მეოთხე წელიწადი დადგა, რაც ჩვენ ამდენს წვალებაში ვართ და...

მაჭუტაძე. რა წვალებაში?

დოლიძე. რაც გავშორდით ჩვენ სამშობლოს, რაც გავჰყევით მთავრის ოჯახს, რაც მთავარი მამია გურიელი გარდაიცვალა, რაც...

მაჭუტაძე. კარგია!.. მოჰყვები ახლა ჩამოთვლას, რაც ესა და რაც ისაო! რაც, რაც, **რაც**! რაზე მოუხშირე ამ სიტყვას! არ დაიცდი, მოგვიდეს რამ პასუხი რუსთა მეფისაგან?..

დოლიძე. რა პასუხი და რის პასუხი?.. ბატონო, შენ აქ განსვენებითა ბრძანდები და არაფერს არ გვეუბნები; ცალკე გიჭირავს თავი და ამბებს არ მისდევ...

მაჭუტაძე. შენ კი მისდევ ამბებს?.. რას ამბობ? შენ კი შედიხარ ვისთანმე, ელაპარაკები და ემუსაიფები? ვისთან? ჩვენ მტერთან?

დოლიძე. სადაც მტერია, იქ მოყვარეც არის, ჩემო ბატონო! მე მყავს ერთი მოკეთე, რომელმაც ყოველისფერი კარგად იცის, არა თუ ხოსრო-ფაშის ფიქრი და აზრი ჩვენ შესახებ, ისიც კი იცის თვითონ სულთან მაჰმუდსაც გულში რა უდევს.

მაჭუტაძე. მიჰქარავ, მაგას რომ მეუბნები! ვინ არის ისეთი სულელი, რომ შენ გაცნობოს ყოველივე რასაც სულთნის სასახლეში ჰფიქრობენ?.. შენ რა ხარ და ვინ ხარ იმათს თვალში?! იმათ კარგად იციან, რომ მამია გურიელის შვილები მე მაბარიან, ეკა და დავითი; იმათ კარგად იციან, რომ ჩვენი ბატონიშვილნი ჩემი გაზრდილნი არიან; იმათ კარგად იციან, რომ მე ვარ, ამ ჟამად, მათი პატრონი და მე არასფერს არ მეუბნებიან, მე, შენს უმფროსს და გურიის თავადიშვილს და შენ-კი გეტყვიან, შენ!!. ჩემს ხელქვეითს და აზნაურს? ამიტომაც მიჰქარავ, რასაც ამბობ!!

დოლიძე. შენ აგრე ბრძანე და მე-კი, სხვას მოგახსენებ.

მაჭუტაძე. რას მომახსენებ სხვას, რომ მე არ ვიცოდე?

დოლიძე. იმას მოგახსენებ, რომ შენი უმდაბლესი თხოვნა რუსთა მეფის სახელობაზედ, ტრაპიზონის შერიფ-ფაშას რომ გაუგზავნე, ხომ დიდი მეგობარია შენი ეს შერიფი, პეტრებულს კი არ გაგზავნა, დაიკავა ჯერ კარგა ხანს თავისას, მერმე გაუგზავნა გურიის რუსთა მმართველს, ღენერალ-მაიორს გესსენს; ამანაც კარგა ხანს შეინახა და

გაუგზავნა კავკასიის მთავარ-მართებელს ნეიდჰარდს; ამანაც კი კარგა ხანს შეინახა და აქ გამოგზავნა, ხოსრო-ფაშასთან, სულთან მაჰმუდის მისართმევად. ასრე და ამ რიგად შენმა თხოვნამ იარა სწორედ ორ წალიწადს და სტამბოლში კი ამოჰყო თავი.

მაჭუტაძე. (წამოხტება) შენ ეგ საიდან იცი?

დოლიძე. ეს მმბავი მითხრა მე, ბატონო, იბრაჰიმმა, სტამბოლის სარდლის ხოსრო-ფაშის რწმუნებულმა.

მაჭუტაძ . ვაიჰ, შენ ჩემო თავო! იბრაჰიმმა თუ გითხრა მართალი იქნება!

დოლიძე. აი, ბატონო, რა ჩქარი კაცი ბრძანდები, ჯერ არას გამიგონებ და ბრძანებ—მიჭარავო და მერე კი გჯერა ჩემი სიტყვა?

მაჭუტაძე. კარგია, ახლა, გული ნუ მოგვივა, ჩემო იასე!

დოლიძე. გული რომ მომივიდეს კიდევაც შენზედა, ბატონო, რა საკადრისია! ჩვენ აქ ურთ-ერთის ერთგულნი უნდა ვიყოთ, ერთს ტაფაში რომ ვიწვით და ვიდაგებიო, შენ კი ამის და მიუხედავად, რაღაც ნაირად, ამ უკანასკნელ დროს, მიუკარებელი გახდი და დაუჯერებელი, არას გვეუბნები და არას გვატყობინებ თუ როგორ იქნება ჩვენი საქმე და რა ბედს უნდა ველოდეთ, რა მოლოდინში უნდა ვიყოთ?.. ეს ერთი კვირა არის აქა ვართ, ამ დიდს სტამბოლში, აქამდი სად არ ვიხეტიალეთ, ხან ტრაპიზონში, ხან უნიას, ხან ტრაპიზონის შერიფ-ფაშის ბანაკებში ვატარებდით დროს, ხან ოსმან-ფაშის საბრძანებელში, ხან ქაფაჯი-ფაშის სოფლებში და ვინ იცის კიდევ სადა და სადა და აგერა აქ ამოგვაყოფინეს თავი, ამ ურჯულოთა სტამბოლში.... გამაგებინე კარგად ჩვენი ამბავი. ბატონიშვილი ეკას და დავითის მხლებელნი სულ ორმოცნი ვართ, ქალ-კაცნი; შენ ჩვენი უმფროსი ბრძანდები, წარბი შეგიკრავს, პირში წყალი ჩაგიყენებია და არას გვატყობინებ თუ რა მოელის ჩვენ თავს... ამაზედ მეტი აღარ შემიძლია...

მაჭუტაძე. შენ მაგას შენად ამბობ, თუ დარიგებული ხარ ვისგანმე?

დოლიძე. ვისი რა დარიგება მინდა?.. თუ ვამბობ, ჩემად ვამბობ! შენ თუ არ შეგტკივა გული ჩვენი ბატონიშვილების ბედზედ, მე, მე, იასე დოლიძეს, შემტკივა და ამიტომაც ვამბობ, რომ არა ვიცი რა რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ყველანი.

მაჭუტაძე. ეხ, დოლიძე .. აქ არ ვიყო, ამ წყეულს სტამბოლში, ამ ხანჯლით მოგიკვეთდი მაგ გრძელ ენას, მაგრამ აქ რა გიყო, აქ ჩვენ ურთი-ერთის ერთგულად უნდა ვიყოთ, როგორც შენა ბრძანე წელან.

დოლიძე. კარგია, ბატონო, თუ გინდ აგრეც იყოს, როგორც შენა გსურს, რომ ენა მომკვეთო, მომკვეთე მაშინ როცა გურიას დაბრუნდებით და ახლა-კი მე ყურთა სმენად გარდავიქცევი!

მაჭუტაძე. მთავრის მეუღლემ სოფიომ, რომ არ შეისმინა კავკასიის მთავარ-მართებლის რჩევა პეტერბურღს წასულიყო საცხოვრებლად, შენც კარგად იცი, რომ უღალატა რუსთა მთავრობას და მიეკედლა ოსმალეთის სპასალარს, ტრაპიზონის შერიფ-ფაშას.

დოლიძე. ეგ ვიცი, რომ რუსთა მთავრობას უღალატა...

მაჭუტაძე. იცი, მაგრამ კარგად არ იცი!!.. შერიფ-ფაშამ სოფიოს სიმშვენიერით ფრიად გატაცებულმა, მოინდომა ბატონიშვილის ეკას შერთვა, მაგრამ სოფიომ ცივი უარი განუცხადა.

დოლიძე. ეგეც ვიცი!

მაჭუტაძე. სოფიოც ისე ეკიდებოდა შერიფ-ფაშას რომ იმედებს არ უცრუებდა, მაგრამ მგზავრობაში, ხომ იცი, როგორ გაცივდა მთავრის მეუღლე და ღვთივ განუტევა სული ტრაპიზონში. მაშინ შერიფ-ფაშამ იფიქრა, მოდი ამ იშვიათი სილამაზის პატრონს, ეკას, სულთანს მივართმევ, როგორც ტყვეს, საჩუქრადო, იქნება მე ამითი უფრო დამიახლოვოს სულთან მაჰმუდმა და აი, ამიტომაც ჩვენ ამ სტამბოლში გამოგვგზავნეს.

დოლიძე. ვაი შენ ჩემო თავო!.. მერე, ეკას აქ რა ბედი მოელის?

მაჭუტაძე. როცა სულთან მაჰმუდი ეკას ნახავს, გაოცდება იმის სილამაზით, მოინდომებს თავის ჰარამხანაში შეყვანას და ცოლად დაისვამს. ეკა ჭკვიანი ქალია, ჩაუხვდება თავის მდგომარეობას, დაიმონავებს სულთანს და ამითი ჩვენ, ყველა გურულებს და თვით მრთელს გურიასაც ეშველება. სულთანი თავის ცოლის სამშობლოს არ დაჭლუპავს და ცოლის ნათესავებს და მოკეთეებსაც არ დაჩაგრავს. სულთანი დიდი მადლიერი იქნება ჩემი, რომ გურიის მზეთ-უნახავს და მშვენიერს მანდილოსანს მივჰგვრი, ჯილდოთ ფაშობას მიბოძებს... შენც არ გაგიშვებს უმოწყალოდ, შენც ფაშობას მოგცემს და...

დოლიძე. ისრემც კარგი დაემართოს იმას, რომ მე რაღაც ფაშობაზედ გავსცვალო ჩემი ქრისტეს რჯული და დავღუპო ჩემი ბატონიშვილი ეკა!! არა, ამაზედ მე ყაბულს არა ვარ და აგერ გიცხადებ კიდეც, რომ ეგ არ იქნება!

მაჭუტაძე. შენ რას ჰკარგავ?! პირ-იქით, მო-

გემატება! მამია გურიელი აღარ არის, მეუღლე მისი სოფიოც გარდაიცვალა; გურია ახლა რუსეთის ხელშია; დავრჩით მხოლოდ, ეკა, ბატონიშვილი დავით და ჩვენ, ვინც ამათ ვახლავართ. რუსებმა გამოაცხადეს, რომ აკრძალული აქვს გურიაში დაბრუნება ყველა იმას, ვინც სოფიოს მხარე დაიჭირა და თან გაჰყვა. ეკას და დავითს გამოეცხადათ, რომ ვინაიდგან მათი დედის საქციელში მონაწილეობა მიიღეს, ერთმევათ მათ ყოველივე უფლებანი თავიანთ გურიაზედ და არავითარს ჯილდოს არ მიიღებენ ღალატისათვის და არც არავითარს შემწეობასა და მეფის წყალობას. ახლა შენც გონივრულად განსაჯე, რალა ვქნათ ახლა? გურიიდან გადაყრილნი, აქ გადმოცვენილნი, უბინონი, უსახლ-კარონი, აქ, ჩვენ, ფეხი მაგრა არ უნდა მოვიკიდოთ?! ამ სტამბოლს იქით გზა საითკენა გვაქვს, მე შენა გკითხავ? სად უნდა წავიდეთ, ვის უნდა მივეკიდლოთ?

დოლიძე. ყოველივე სიტყვა—ცვალებადია; ყოველივე ბრძანება—შეიცვლება; ეგ ბრძანებაც რუსთა მთავრობის—შეიცვლება!

მაჭუტაძე. ვინ შეცვლის?!,. შენ ხომ არ აპირობ?!. ჰმ!..

დოლიძე. მე რომ ვაპირებდე კიდევაც, მე რა შემიძლია? მაგრამ თვით რუსთა მთავრობა, რომელიც ახლა, შენი თქმისა არ იყოს, ჰგანაგებს გურიის სამთავროს, არ დასტოვებს უყურადღებოდ არცა ეკას, არცა დავითს და არცა ჩვენ, მათ მხლებლებთ.

მაჭუტაძე. საქმეები კარგადა გცოდნია, დოლიძე! არ მეგონა, რომ შენ ამისთანა საქმის გარჩევაში გაერევოდი როდისმე, რა შენი ჭკუის საქმეა!!

დოლიძე. რასაც შენ ბრძანებ—სიბნელით არის მოცული! რასაც მე ვამბობ—ნათელია დღესავით!

მაჭუტაძე. მე ისევ ვიტყვი, რომ ეკას და დავითს საქმეებში შენ არასა ჰკარგავ, პირ-იქით, მოგემატება დიდებული ხარისხი ფაშისა, მოგემატება შეძლება, სიმდიდრე და დაგრჩება თავისუფლება.

დოლიძე. ღმერთმა შეარცხვინოს იმისთანა თავისუფლება, რომელიც სამშობლოს ღალატით იქნების შეძენილი! ღმერთმა შეარცხვიოს იმისთანა დიდებულება, რომელიც ობლების დაღუპვით არს მოპოვებული!

მაჭუტაძე. (მედიდურად და მკაცრად) ეჰ, დოლიძე! რა გელაპარაკო შენ, რომ არაფერი გესმის!

დოლიძე. (ადგა-მართდად) მართალია, რა უნდა მელაპარაკო, თუ კი შენს ღრმა აზრებს ვერ მივსწვდები ჩემის გლახის ჭკუით!!

მაჭუტაძე. (მკაცრად). დოლიძე! მე შენ გიცხადებ შემდეგს: თუ გაჰბედე და ჩემს გზას გადამეღობე როგორმე, იცოდე რომ შენი სიცოცხლე წამსვე მოსპობილ იქნება ურჯულოს ხელით!.. მე თვითონ ჩემს ხელს შენს სისხლში არ შევისვრი და ლეში შენი ბოსფორის უფსკრულში იქნება გადაგდებული... იცოდე ეს! ამას გიცხადებს შენ გურიის თავადი დავით მაჭუტაძე და შეგისრულებს კიდევაც!

დოლიძე. (გაბრაზებული, მკაცრად) მოითმინე, ბატონო, მოითმინე, ერთი რა მოგახსენო!.. მე შენ გზაზედ არც ღობედ დაგედები და არც არასფერს არ დაგიშლი, მაგრამ ეს იცოდე კარგად, ბატონო ჩემო, მე შენზედ უფრო ყმაწვილი ვარ, ჩემი მკლავი შენს მკლავსა სჯობია; ჩემი ხანჯალი-სატევარი—შენს ხანჯალ-სატევარზედ უფრო მკრეალია: მე შენზედ ბევრად ულონიერესი ვარ და სანამდის შენ ურჯულოს ხელით მე სიცოცხლეს მოგისპობ, შენს თავდურს ლეშს სტამბოლის ძაღლებს შევაჭმევ!!. შენ ჩემთან ბრძოლას არ გირჩევ! შენს ბოროტს განზრახვას ეკას შესახებ ვერ ეღირსები სანამდის მე პირში სული მიდგია. ეს დაიხსომე კარგად, ამას გიცხადებ შენ, გურიის დიდს თავადს, დიდს მაჭუტაძეს, მე გურიის აზნაური უმდაბლესი იასე დოლიძე!

მაჭუტაძე. (მკაცრად) რას აპირობ?!

დოლიძე. (წყნარად) არასფერს!

მაჭუტაძე. (მკაცრად) რა გწადია?

დოლიძე. (წყნარად) მე... არ ვიცი!.

მჭაუტაძე. (მკაცრად) პასუხი გამე?!

დოლიძე. (მკაცრად) პასუხად გეყოფა ისიც, რაც მოგახსენე!

მაჭუტაძე. (აღშფოთებული) ჰოი, შე ძაღლო! (შიგარდება ხანჯალ-ამოდებული; დოლიძე უცბად ლაჯებში ჩაუვარდება, ძირს დასცემს მაჭუტაძეს და ზედ შეაჯდება, წაართმევს ხანჯალს და იმის ხანჯალსვე მოუდერებს).

დოლიძე. (აღშფოთებული) აჰაი, შე ავაზაკო! დაგკლა შენის ხანჯლითვე? ღორივით გაგფაშო?! ჰა?!. უსირცხვილო, მოღალატე! ისრედაც აქ ურჯულოებში ჩვენ წვალებაში ვართ და შენ ჩემი სიკვდილი განიზრახე, რომ ფაშობა მიიღო?!.. დაგახრჩობ ახლავე!

მაჭუტაძე. (მტბიერად) კარგია, იასე, გამიშვი! მე მტყუანი ვარ შენთან!

ლოლიძე. (მკაცრად) გაგიშვებ იმ პირობით, რომ შენ ამას იქით ხანჯალ-სატევარი აღა ატარო, თორემ მძინარეს მომეპარები!

მაჭუტაძე. (დამშვიდებით) კარგი, გამიშვი!

ლოლიძე. (მკაცრად) შემომფიცე!

მაჭუტაძე. (დამშვიდებით) ჩემს ფიცს არ დაიჯერებ!

ლოლიძე. (მკაცრად) ღირსი-კი ხარ, რომ დაგიჯერო?

მაჭუტაძე. (დამცირებით) რითი დაგარწმუნო?

კოტე ყიფიანი.

(შემდეგი იქნება)



პროვინცია.

დ. ხონი. ხონის ინტელიგენცია კულტურულ მუშაობაში ირის გართული. ნამეტურ კულტურულ მუშაობას ეწევიან ღამით. სადღორეღე, რომ მაგიდას მოუსხდებიან დიდამდინ, დიდს თუმც ადგებიან მაგრამ ეველას გული წუდება ადგომაზედ. ადსანიშნავია ისიც, რომ ეს ვაუბატონები დაბად წრეშიაც ენერგიულად ვერტელებენ ოვიანთ სუეარედ ხელობას—კარტს. შეტნიერულად ამტკიცებენ რომ კარტს დიდი სარგებლობა მოაქვს ხალხთათვინო. თუ კარტის სარგებლობა შეიტეო სალხმა, მას უსათუოდ დაეწყოფ და გაბედნიერდებინ. განზრახვა აქვთ კარტის სარგებლობაზედ სისტემატიური ,ლექციები წაიკითხონ ახლო მომავალში ხონის არისტოკრატ-ინტელიგენტებმა. ვაზრებში ლექციას წაიკითხავს ვ. ს—ძე. ექიმებში მჭარმეტყველი ბ. კ—ი და დემოკრატიულ წრეში კი ლექციის წასაკითხავად, ქუთაისის კლუბიდან უნდა მოიწვიონ სპეციალისტი ლექტორი. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ეოველიეე ამის შემდეგ ხონელები კულტურულნი ხალხი შეიქნება.

არნარჩახრახ

ბათომის ქალაქის თვით მართველობას აცხადებს რომ ვინც ბათომის ნოვოსტს გამოიწერს მთელი წლით მას მიეცემა პრემიათ, გიორგი ჟურულის დაკლადი „ელექტრონის სადგური“. როგორც შემოსავლიანი ალაგი გაზეთის არსებობისათვის. და გაზეთის არსებობა თვითმართველობის ინტერესების დასაცველათ.

5—1

„ნაშ კრაის“ რედაქცია აცხადებს რომ ფულების რეორგანიზაციის გამო გაზეთი გამოვა როცა საქანქრეთში ოქროები აღმოჩნდება.

5—3

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

კედლის კალენდარი 1910 წ.

შედგენილი

გ. ჩარკვიანის მიერ

გამოცემა „სორაპანის“ ამხ.

ფასი 40 კაპ.

სახალხო კალენდარი 1910 წ.

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ფასი 20 კაპ.

ვინც ეს ცალობით გამოიწერს მათ დაეთმობათ ბრალტენტები.

გამომცემელი **ერასტი გორდელაძე.**

I. КЛ.
3759.
II. КЛ.
3760
III. КЛ.
3761

ქუდაიხის
ბანკი
როტტერ

როტტერ
მწყემსის
რედაქცია